მანანა დარჩაშვილი •

მწვანეები ევროპარლამენტში (2024 წლის შემთხვევა)

აბსტრაქტი

გლობალიზაციამ თანამედროვე ეტაპზე მთელი რიგი საკითხები, თავისი არსებული სირთულეებით და მოსალოდნელი საფრთხეებით, როგორც ცალკე სახელმწიფოებისათვის, ისე მსოფლიოსათვის პრიორიტეტულად აქცია. ერთ-ერთი ასეთი საყოველთაო მნიშვნელობის საკითხი გარემოსდაცვითი საკითხია, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა და გამოკვეთა საერთო ზრუნვის საჭიროება თითოეული ქვეყნისათვის.

საერთო, გარემოსდაცვითი იდეებით, ევროპელი მწვანეები თანამედროვე ეტაპზე კარგად დამკვიდრებული ძალაა ევროპულ პოლიტიკაში, ისინი ევროპარლამენტში 1984 წლიდან არიან წარმოდგენილნი.

მწვანეთა/EFA-ს საპარლამენტო ჯგუფი 1999 წელს შეიქმნა, როდესაც ორი პროგრესული ევროპული პოლიტიკური ძალა - მწვანეები და ევროპის თავისუფალი ალიანსი (EFA) - შეთანხმდნენ ევროპარლამენტში გაერთიანებაზე. მათი ძირითადი მიზანი იყო, რომ ევროპა გამკლავებოდა გლობალურ გამოწვევებს და ყოფილიყო გამოკვეთილი გლობალური ლიდერი, კლიმატისა და გარემოს დაცვის, მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და თვითგამორკვევისთვის ბრძოლის საკითხებში.

ათწლეულების განმავლობაში, მათ შორის 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვისაც, მათი ცვლილებები ევროპისათვის მოიცავდა შემდეგი საკითხებისათვის ბრძოლას: მომავალი თაობებისთვის კლიმატისა და გარემოს დაცვას; ისეთ საზოგადოებას, სადაც ყველა ადამიანს აქვს მოსაზრების გამოთქმის უფლება; ნამდვილ დემოკრატიას, სადაც საზოგადოებას და მედიას შეუძლია გააკონტროლოს ხელისუფლებაში მყოფი პირები; სურდათ ისეთი

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი.

ევროპის აშენება, რომელიც შეამცირებდა სიღარიბეს, რადგან ყველა იმსახურებს სამართლიან საზოგადობაში ცხოვრებას; ეკონომიკა უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა პირიქით; საზოგადოებას, რომელიც ინვესტირებას ახდენს საჯარო სერვისებში და ქმნის ძლიერ თემებს; ხალხების, რეგიონებისა და ისტორიული პატარა ერების დემოკრატიულ ევროპას, სადაც პატივს სცემენ თვითგამორკვევის უფლებას; საზოგადოებას ჰქონოდა ღირსეული ანაზღაურებადი სამუშაო და საბინაო პირობები; ყველა ადამიანი თავისუფალი ყოფილიყო, დისკრიმინაციის გარეშე; აღნიშნულიდან გამომდინარე მათ სჯერდოთად, რომ ისინი იყვნენ მიმზიდველი ჯგუფი ყველა პროგრესული ძალისთვის.

საკვანძო სიტყვები: ევროპარლამენტი, გარემოსდაცვა, მწვანეები, არჩევნები, პროგრამა, დემოკრატია.

შესავალი

ევროპარლამენტი, ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინსტიტუტია, რომლის უფლებამოსილება, ევროკავშირის ინსტიტუციური განვითარების პროცესში, თანდათან გაიზარდა. მისი ძირითადი ფუნქციები დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარეობს და მისი წარმომადგენლობის განსაზღვრა ხდება ქვეყნების თანასწორობისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. თითოეული წევრი სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე ეროვნული კანონმდებლობით არეგულირებს არჩევნების გამართვის საკითხს.

საერთაშორისო პოლიტიკის ინტერესი 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებისთვის განსაკუთრებით დიდი იყო, - თუ როგორ გადანაწილდებოდა ევროპული საბჭოს მიერ წევრების 705-დან 720-მდე გაზრდილი რაოდენობა.

ნაშრომის კვლევის კვითხვაა - როგორაა წარმოგდენილი ევროპარალამენტში მწვანეთა მოძრაობა, როგორია მათი სამოქმედო პროგრამა. ნაშრომის ამოცანაა გაანალიზოს ევროპარლამენტში წარმოდგენილი მწვანეების მოქმედება და მათი საპროგრამო ინტერე-

სები, ბოლო 2024 წლის ახლად არჩეული ევროპარლამენტის ჩათვლით.

ნაშრომის ჰიპოთეზა კი ასე ყალიბდება - ევროპელი მწვანეების გარემოზე ზრუნვა და შესაბამისი მოქმედება, როგორც ყოველთვის ცივილური საზოგადოებისთვის, აქტუალურია, არსებული სინამდვილიდან გამომდინარე (პოლიტიკური პროცესები უკრაინასა და ღაზას სექტორში, მიგრაციული პროცესები, ომით გამოწვეული სირთულები და სხვა) უსაფრთხოების და სოციალური საკითხების გააქტიურებასთან ერთად.

საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რადგან, საერთაშორისო მაშტაბით, არაერთი მკვლევარი აღნიშნავს მწვანეების გააქტიურების საჭიროებაზე და არ ერიდებიან კრიტიკას, რომ მწვანეები გადარჩენისათვის იბრძვიან და რომ გარემოდაცვითი საკითხები დღის წესრიგში არასაკმარისად განიხილება (M Pearson, W Rüdig , 2020). ნაშრომი პირველადი და მეორადი წყაროების თვისებრივი ანალიზითაა წარმოდგენილი.

რეტროსპექტული მიმოხილვა

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან გარემოს საკითხებისადმი ინტერესი მსოფლიოში გააქტიურდა, 1968 წელს ეკოლოგმა და ფილოსოფოსმა გარეტ ჰარდინმა ესსეში „საერთო რესურსების ტრაგედია“, აღნიშნა ინდივიდთა ქმედებების საფრთხე საერთო რესურსების ამოწურვის კუთხით. ის მიიჩნევდა, რომ ადამიანების ულიმიტო მოხმარებისკენ მისწრაფება გამოიწვევდა დედამიწის რესურსების განადგურებას (გულისხმობდა ჭარბ თევზჭერას ზღვაში და ბრიტანეთში საძოვრების მართვის ძველად არსებულ პრაქტიკას (მე-19 საუკუნეში) (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამა: „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში”, 2019). საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე კი 1972 წელს რომის კლუბის მხარდა-

ჭერით გამოიცა ანგარიში „ზრდის შეზღუდვები“ (The Limits to growth) (Meadows, 1972). საჭიროა აღინიშნოს, რომ მდგრადი განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღი იყო 1972 წელი, როდესაც სტოკჰოლმში ჩატარდა გაეროს პირველი კონფერენცია გარემოსა და მდგრად განვითარებაზე. კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი იყო იმ ძირითადი პრინციპების პოვნა, რომლებიც უბიძგებდა მსოფლიო მოსახლეობას საკუთარი გარემოს დაცვისკენ. სტოკჰოლმის კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (United Nations Environment Programme, UNEP) შექმნა (გერგედავა, 2021).

ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები 1979 წლის ივნისში გაიმართა. ამ პერიოდში ევროპაში მწვანე პარტიების განვითარება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე იყო (მწვანეთა პარტიები გააქტიურდნენ ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში და გერმანიაში). თუმცა, ხუთი წლის შემდეგ, 1984 წლიდან მწვანეთა პარტიები უწყვეტად არიან წარმოდგენილი ევროპარლამენტში. აღსანიშნავია, რომ გერმანიას, მწვანეთა მოძრაობის დასაყრდენს, შვიდი ევროპარლამენტარი ჰყავდა, ბელგიიდან და ნიდერლანდებიდან კი ორ-ორი. მცირერიცხოვნებიდან გამომდინარე მათ არ ჰყავდათ საპარლამენტო ჯგუფი. შემდგომ ყველა არჩევნებში სხვადასხვა ქვეყნიდან მწვანეები შეუერთდნენ ბელგიელ და გერმანელ კოლეგებს ევროპარლამენტში. ევროპული არჩევნები კვლავაც მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებშიც. ისინი იბრძოდნენ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ, ეს საკითხი ამ დროს ძალიან აქტუალური იყო, რადგან ეს დროში დაემთხვა 1986 წელს ჩერნობილის კატასტროფას, მოითხოვდნენ ცხოველთა დაცვის ხელშეწყობას და ძირითადი დემოკრატიული ღირებულებების დაცვას (The Greens/EFA in the European Parliament, 1984).

1989 წელს ევროპარლამენტის არჩევნებში მიღწეულმა შედეგებმა საშუალება მისცა მწვანეებს შეექმნათ 30 წევრისგან შემდგარი

პირველი მწვანე ჯგუფი. გერმანელ, ბელგიელ და ჰოლანდიელ ევროპარლამენტარებს შეუერთდნენ მწვანეები საფრანგეთიდან, იტალიიდან და პორტუგალიიდან (დიდმა ბრიტანეთმა 1989 წლიდან აჩვენა თანმიმდევრული მხარდაჭერა მწვანეთა მიმართ); საყურადღებოა, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, მწვანეებმა შემოიღეს ჯგუფის თავმჯდომარეობის ინოვაციური სისტემა ორი თანაპრეზიდენტით, რომელთაგან ერთი ქალი უნდა იყოს (GREENS/EFA, 1989).

ამ პერიოდში კლიმატის ცვლილება გადავიდა მწვანე პოლიტიკის პრიორიტეტების წინა პლანზე, როდესაც მწვანეებმა მონაწილეობა მიიღეს დედამიწის სამიტში რიო დე ჟანეიროში 1992 წელს, შეიქმნა ე. წ. RIO დეკლარაცია, გარემოსა და განვითარების შესახებ. 27 პუნქტიანი დოკუმენტის მოტივაცია ადამიანის, როგორც მდგრადი განვითარების ზრუნვის ცენტრალურ ობიექტზეა, რომ ყველას აქვს ბუნებთან ჰარმონიაში ჯანსაღი და პროდუქტიული ცხოვრების უფლება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება გამოიყენონ საკუთარი რესურსები საკუთარი გარემოსდაცვითი და განვითარების პოლიტიკის შესაბამისად, და ამასთან უნდა უზრუნველყონ რომ ზიანი არ მიაყენონ სხვა სახელმწიფოების გარემოს და რომ მდგრადი განვითარების მისაღწევად, გარემოს დაცვა წარმოადგენს განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს და არ შეიძლება ჩაითვალოს მისგან დამოუკიდებლად (Rio Declaration on Environment and Development).

1993 წელს ევროპაში მწვანე პარტიების თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად შეიქმნა ევროპის მწვანე პარტიების ფედერაცია. შემდგომ წლებში ფედერაციის წევრად მიღება გახდა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მწვანე პარტიებისთვის, რომელთაც სურდათ აღიარებული ყოფილიყვნენ მწვანე პარტიის ოჯახის ნამდვილ წევრებად.

1994 წლის ევროპის არჩევნებმა მწვანეებს არაერთგვაროვანი შედეგები მოუტანა. მაშინ როცა, გერმანიის მწვანეებმა მიაღწიეს რეკორდულ ხმას, ფრანგმა და პორტუგალიელმა მწვანეებმა დაკარგეს ყველა ადგილი. პირველად არჩეულ იქნა მწვანეები ლუქსემბურგიდან და ირლანდიიდან, მაგრამ ჯგუფი მთლიანობაში 23 წევრამდე შემცირდა. როდესაც ავსტრია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდნენ ევროკავშირს 1995 წელს, ჯგუფმა კიდევ ოთხი წევრი შეიძინა, რაც ჯამში 27 წევრამდე გაიზარდა.

ამ პერიოდიდან საჭიროა აღინიშნოს, რომ მწვანეებმა მოაწყვეს სანახაობრივი ანტიბირთვული აქცია 1995 წლის ივნისში, აპროტესტებდნენ ბირთვულ ტესტებს. სხვა საჯარო ქმედებებით მწვანეებმა მოახერხეს მედიის ყურადღების მიქცევა ბიომეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლისას. ყოფილ იუგოსლავიაში სასტიკი ომისას, ანტიმილიტარიზმი და პაციფიზმი დარჩა მწვანეთა დღის წესრიგში. მწვანეებმა დააარსეს ვერონას ფორუმი, რომლის მიზანი იყო ბალკანეთის მშვიდობიანი გადაწყვეტილებების ხელშეწყობა. მწვანეებმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ევროკომისიაში თაღლითობისა და ნეპოტიზმის გამოვლენაში.

1999 წელს მწვანეებმა მიაღწიეს თავიანთ საუკეთესო წარმომადგენლობას, 1984 წლიდან მოყოლებული, ევროპარლამენტში - 38 მწვანე დეპუტატით. ევროპის თავისუფალი ალიანსის 10 დეპუტატთან ერთად მათ შექმნეს მწვანეთა/EFA ჯგუფი, რაც გახდა მეოთხე უდიდესი ჯგუფი ევროპარლამენტში.

დაახლოებით ამ დროს, მწვანეთა პარტიები ასევე მუშაობდნენ ევროკავშირის ხუთ ქვეყანაში: იტალიაში, ფინეთში, საფრანგეთში, გერმანიაში და ბელგიაში. ამას მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა, მწვანე გარემოს დაცვის ხუთმა მინისტრმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა კიოტოს პროტოკოლზე იმდროინდელ მიმდინარე მოლაპარაკებებზე. კლიმატის ცვლილება დარჩა მწვანეთა პოლიტიკის ცენტრში, კიოტოს პროტოკოლი, რომელიც

1997 წლის 11 დეკემბერს მიიღეს (თუმცა, რატიფიკაციის კომ-პლექსური პროცესის გამო, ის ძალაში 2005 წელს შევიდა). ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო-კონვენციის განხორციელებას, აწესებს როგორც განვითარებული, ინდუსტრი-ული ქვეყნებისთვის, ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ (თითო-ეული ქვეყნისთვის განსხვავებულ), სავალდებულო ზღვრებს. აღსა-ნიშნავია, რომ ამ პერიოდში, არსებული ვითარების გამო, სამ-შვიდობო პოლიტიკა მწვანეთა დღის წესრიგში გადავიდა (სპარსე-თის ყურის ომი 1991 წელს). აქვე დავძენთ, რომ მწვანეთა ჯგუფი აქტიურად უჭერდა მხარს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებას, ბიპოლარიზმის მსხვრე-ვის შემდეგ. დღის წესრიგში იდგა ასევე ჯანმრთელობის დაცვის სა-კითხებიც. მათი დიდი ხნის პრიორიტეტი იყო ადამიანის ჯან-მრთელობის დაცვის გაზრდა გარემოს უკეთესი დაცვის გზით. ეს ცხადი იყო ჯგუფის ადრეული ეტაპებიდან, გმო-ებთან ბრძოლისა და გმო (გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები)-ისგან თავისუფალი ზონების ხელშეწყობით, ორგანული მეურნეობისა და ზოგადად სასურსათო უსაფრთხოების ხელშეწყობასთან ერთად. ამ მიზნით ჯგუფმა 2003 წელს დაიწყო აქტიური კამპანია.

მწვანეთა მოძრაობა გამორჩეული გახდა ევროინტეგრაციის შესახებ დებატებში, მიუხედავად სხვადასხვა ეროვნულ პარტიებს შორის არსებული განსხვავებებისა. მწვანე წევრები ძალიან აქტი-ურები იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ძირითად უფლებათა დაცვის მიზნით შემუშავებულ გადაწყვეტილებებსა და კონვენციებში. მნიშ-ვნელოვანი იყო მათი პანევროპული მოძრაობის ლოგიკური ნაბიჯი - პირველი ევროპული პოლიტიკური ოჯახის შექმნა 2004 წლის ევროპის არჩევნებში საერთო კამპანიით. მანამდე ევროპულ არჩევ-ნებს არ ჰქონია რეალური პანეევროპული განზომილება. ევროპის მწვანეთა პარტია დაარსდა 2004 წლის 21 თებერვალს რომში (იმავე

ოთახში, სადაც 1957 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროპული თანამეგობრობის შესახებ, მწვანეთა პარტიის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ფონდის დოკუმენტს), როდესაც 34 პანევროპული წევრი პარტია შეიკრიბა ევროპის მწვანე პარტიების ფედერაციის მე-4 კონგრესზე. ევროპელი მწვანეები იყვნენ პირველი, ვინც ფედერაციიდან სრულფასოვან ევროპულ პოლიტიკურ პარტიად გადაიქცა, რაც ადასტურებდა მათ ერთგულებას - აეშენებინათ ერთიანი ევროპა. ახლად დაარსებული ევროპული მწვანეთა პარტიის პირველი მიზანი იყო ფოკუსირება 2004 წლის ევროპარლამენტის არჩევნებზე, რაც პირველად იყო საერთო საარჩევნო კამპანია მთელ ევროპაში (Evropean Greens, 2004).

2004 წლის ივნისის ევროპარლამენტის არჩევნებში მწვანეებმა მოიპოვეს 34 ადგილი, მაგრამ, მოხდა მათი დიდი იმედგაცრუება იმის გამო, 10 ახალ წევრ ქვეყანაში ვერცერთი ადგილი ვერ მოიპოვეს. მწვანეებმა განაახლეს ალიანსი EFA-სთან (ევროპის თავისუფალი ალიანსი) და ზოგიერთ დამოუკიდებელ ევროპარლამენტართან ერთად, დარჩნენ სიდიდით მეოთხე სუბიექტად ევროპარლამენტში (42 დეპუტატით). ამ საარჩევნო ციკლში მწვანეები სათავეში ჩაუდგნენ უამრავ გახმაურებულ ბრძოლას ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რამაც ჯგუფი კონფლიქტში შეიყვანა ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორის ინტენსიურ ლობებთან. მცირე არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციასთან ერთად მწვანეებმა შედეგებსაც მიაღწიეს.

მწვანეებმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ევროკავშირში ქიმიკატების უფრო მკაცრი კონტროლისთვის ბრძოლაში. ევროკავშირის საკანონმდებლო წინადადება, ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასებისა და ავტორიზაციისთვის, რომელიც შემოთავაზებული იყო წინა საკანონმდებლო ორგანოშიც და რომლის მიზანი იყო ქიმიკატების რეგულირება ევროპაში. ქიმიური მრეწველობის ინტენსიური ლობირების პირობებში შემოთავაზე-

ბული კანონის შესამცირებლად, მწვანეებმა წამოიწყეს კამპანია 2005 წელს. პარლამენტის მიერ საბოლოოდ მიღებული კომპრომისი, მიუხედავად იმისა, რომ ჩამორჩებოდა მწვანეთა მიერ მოთხოვნილი დაცვის დონეს, წარმოადგენდა დიდ წინ გადადგმულ ნაბიჯს მომხმარებელთა და გარემოს ტოქსიკური ნივთიერებებისგან დაცვის კუთხით.

მწვანეებმა 2006 წლის თებერვალში წამოიწყეს კლიმატის ცვლილების პანევროპული კამპანია. კამპანია მოითხოვდა უფრო მკაცრი ზომების მიღებას კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ. ბირთვული ინდუსტრიის ძალისხმევის წინააღმდეგ ბრძოლა ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო მწვანეებისთვის ამ საარჩევნო პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ჯგუფმა მოაწყო კონფერენცია კიევში ჩერნობილის კატასტროფის 20 წლისთავზე 2006 წლის აპრილში და გამოაქვეყნა არაერთი კვლევა ბირთვული ენერგიის საშიშროების შესახებ.

2005 წელს საპარლამენტო ჯგუფებში შუალედური ცვლილებების შემდეგ, მწვანეებმა ერთი ნაბიჯით უკან გადაინაცვლეს. თუმცა, სხვადასხვა შიდა პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე მწვანეთა უპირატესობა სახეზე იყო, დღის წესრიგის მზარდი მიმზიდველობის მაჩვენებლით. ეროვნულ დონეზე, მწვანეებს კარგი მაჩვენებელი ჰქონდათ: მწვანეები იმყოფებოდნენ მთავრობაში ევროკავშირის ხუთ წევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკაში, რაც ახალ წევრ ქვეყნებში მწვანეთა მოძრაობის მომავლის იმედებს ამყარებდა.

2009 წლის 27/28 მარტს ბრიუსელში გამართულ კონგრესზე, ევროპის მწვანეთა პარტიებმა წამოიწყეს საერთო ევროპული საარჩევნო კამპანია, წარადგინეს საარჩევნო მანიფესტი „მწვანე ახალი გარიგება ევროპისთვის“ და მიიღეს რეზოლუცია „შეაჩერე ბარბაროსი“. მათ თავიანთი კამპანიის საშუალებით, სახელწოდებით „ევროპა უკეთესს იმსახურებს“, წამოიწყეს ინსტიტუციური და პოლი-

ტიკური ბრძოლა ჟოზე მანუელ ბაროზოს ევროკომისიის ხელმძღვანელის პოსტიდან გადასაყენებლად. ისინი აცხადებდნენ, რომ ვისაც სურდა ევროპული პოლიტიკის უკეთესობისკენ შეცვლა, მხარი უნდა დაეჭირათ მათთვის. წარმოდგენილი ჰქონდათ 25 მიზეზი ბაროზოს კანდიდატურის წინააღმდეგ. ეს მიზეზები მოიცავდა: ფინანსური და ეკონომიკური კრიზისისადმი პასიურ მიდგომას, სოციალური პოლიტიკის უგუნურ დერეგულაციას, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის უგულებელყოფას, ევროკავშირში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობის სისუტეს (Evropean Greens, 2009).

2009 წლის ივნისის არჩევნებში მწვანეები ძალიან წარმატებული იყვნენ, მოიპოვეს 46 ადგილი, მაგრამ კვლავ ვერ მოიპოვეს არცერთი ადგილი 12 ახალ წევრ ქვეყანებში. EFA-სთან ალიანსის განახლებით და რამდენიმე დამოუკიდებელი ევროპარლამენტის წევრის მონაწილეობით, ჯგუფი დარჩა მეოთხე უდიდეს ჯგუფად ევროკავშირის პარლამენტში. ფაქტია, მწვანეთა/EFA (ევროპის თავისუფალი ალიანსი) ჯგუფი აქტიურად მუშაობდა ევროკავშირის წინაშე მდგარი საკითხების პროგრესული და მდგრადი გადაწყვეტის ხელშეწყობაზე, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის საპასუხოდ. ისინი მოწინავე იდეებით მზად იყვნენ გლობალური ფინანსური სექტორის ეფექტური რეგულირებისთვის, ბაზრების გამჭვირვალობისა და უფრო ეთიკური ეკონომიკისთვის; სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ჯგუფი მუშაობდა იმისთვის, რომ ევროკავშირი ყოფილიყო ლიდერი გაეროს კლიმატის მოლაპარაკებებში, კლიმატის ცვლილებაზე საერთაშორისო რეაგირებაში.

ფაქტია, რომ გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც წარმოიშვა 2008 წელს და დიდი გავლენა იქონია მომდევნო ათწლეულის პოლიტიკაზეც, მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკა გახადა დომინანტი ევროპის ბევრ ქვეყანაში, რაც ასევე ხელს უწყობდა

კლიმატის ცვლილების მიმართ სკეპტიციზმს და გარემოსდაცვითი რეგულაციების უკან დახევას, რაც ამ პერიოდის განმავლობაში მწვანე პოლიტიკის მთავარი გამოწვევა გახდა.

ევროპელ მწვანეთა საქმიანობაში, საქართველოსთან მიმართებაში, საინტერესოა 2009 წელს მიღებული რეზოლუცია - „საქართველოში ძალადობის შეჩერების ვალდებულება“, ევროპის მწვანეთა პარტიის საბჭომ საქართველოს შესახებ 8 პუნქტად ჩამოყალიბებულ რეზოლუციაში დაგმო: საქართველოში ძალადობის ესკალაცია, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა; კონფლიქტის დაწყება, რომელიც დაძაბულობის სერიოზული ესკალაციის შედეგი იყო, პროვოკაციები, რომელიც გაცილებით ადრე დაიწყო; სამხედრო ძალის გამოყენება კონფლიქტში ჩართული ყველა მხარის მიერ; მსხვერპლის დიდი რაოდენობა ორივე მხრიდან, ჩადენილი ეთნიკური წმენდის და იძულებითი განსახლების დოკუმენტირებული ფაქტები; ყურადღებას ამახვილებდნენ საქართველოში ეკოციდის შემზარავ ფაქტებზე, ბორჯომის ხეობაში გაჩენილ ტყის ხანძრებზე, (ჯამში 1100 ჰექტარი, ამ დაზიანებული ტერიტორიიდან 950 ჰექტარი ბორჯომის ხეობაში იყო), რომლის ნაწილი ევროპის ფონდებთან თანამშრომლობით შემუშავებულ უნიკალურ ბორჯომ/ხარაგაულის ეროვნულ პარკშია. გამოუსწორებელი ზიანი მიადგა ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებას და განსაკუთრებით ველურ ბუნებას, დაირღვა გაეროს 1977 წლის კონვენცია სამხედრო მოქმედებების ან სხვა საომარი მოქმედებების დროს ბუნების წინააღმდეგ ნებისმიერი წყაროს გამოყენების აკრძალვის შესახებ; ევროპელი მწვანეები მიესალმებოდნენ: აგვისტოს ომის შემდეგ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის მონაწილეობით მიღწეულ პირველ შეთანხმებას ინციდენტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების ერთობლივ მექანიზმებზე (2009 წლის 18 თებერვალი, ჟენევა); ევროპელი მწვანეები მოუწოდებდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლებას და ზოგადად საერთაშორისო თანამეგობრობას პატივი

ეცათ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების სუვერენიტეტის, ტერიტორიულ მთლიანობის და ხელშეუხებლობისათვის და შედეგად, უგულებელყოფდა სეპარატისტული რეგიონების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ნებისმიერ აღიარებას, რაც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართალს; მოუწოდებდნენ - კავკასიის ყველა შესაბამისი მხარე ჩართულიყო გრძელვადიან სამშვიდობო პროცესში; ევროკავშირი აღიარებდა თავის წამყვან როლს ცეცხლის შეწყვეტის მიღწევაში და ძალისხმევას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის; ყველა სახელმწიფოს უარი უნდა ეთქვა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე; ევროპელი მწვანეები ითხოვენ: ა) საერთაშორისო დამკვირვებლების მნიშვნელოვანი რაოდენობის შეშვებას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში; ბ) სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას უზრუნველყო იძულებით გადაადგილებული მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხო დაბრუნება, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად და მათი საკუთრების პატივისცემა, ამასთან ჩართულ მხარეებს სთხოვდნენ უმცირესობების უფლებების სრულად პატივსცემას; გ) ეუთოს მისიას საქართველოში გაეგრძელებინა მუშაობა; დ) ევროკავშირის მანდატით სამართლიანობის მისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვეიცარიელი დიპლომატი, ჰაიდი ტალიავინი, გამოიძიებდა საქართველოში ეკოციდების ფაქტებს, ომის სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებთან ერთად; ე) აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში, გაძლიერებულიყო თანამშრომლობა საქართველოსთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან, როგორც ეს მითითებული იყო ევროპარლამენტის რეზოლუციაში - საქართველოში არსებული ვითარების შესახებ; ამასთან, ევროპელი მწვანეები შეახსენებდნენ ორივე მხარეს და მათ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ღია დემოკრატიის ღი-

რებულებებს (Evropean Greens, The Council of the European Green Party, 2009).

2014 წლის ივნისში ევროპარლამენტის არჩევნებში მწვანეთა/EFA (ევროპის თავისუფალი ალიანსი) ჯგუფიდან 50 ევროპარლამენტარი აირჩიეს. 2014 წლის სექტემბერში ჯგუფი ხელმძღვანელობდა კრიტიკულ კამპანიას, თვლიდნენ რა, რომ ევროპარლამენტში ძირითადი პორტფელების განაწილება, არ იყო ის, რაც ევროპელებს სჭირდებოდათ, ევროპის ღრმა სოციალური და გარემოსდაცვითი კრიზისის დასაძლევად და საერთოდ არსებული გამოწვევების დასაძლევად. მათთვის 2014-2019 წლების სამოქმედო პერიოდი მიმართული იყო ლოზუნგით: „ჩვენ შევცვლით“.

მთელი საკანონმდებლო პერიოდის განმავლობაში მწვანეთა/EFA ჯგუფი აწარმოებდა სხვადასხვა საჯარო კამპანიას ძირითად საკითხებზე: კლიმატის, საკვების, ვაჭრობის, საგადასახადო სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და დემოკრატიის შესახებ. ძირითადი საკითხი იყო: „სუფთა ენერგია ყველასთვის“, კანონმდებლობის მიღება, რომელიც განსაზღვრავდა, თუ როგორ განახორციელებდა ევროკავშირი და წევრი სახელმწიფოები პარიზის კლიმატის შეთანხმებას (2015 წლის 12 დეკემბერი, პარიზი) პრაქტიკაში, რომლის მიზანიც გლობალური დათბობის ყველაზე ცუდი შედეგების თავიდან აცილება და ამავდროულად, შეთანხმება კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გადამწყვეტი მომენტი იყო. ასევე აღსანიშნავია, რომ აქტიურად იდგა დღის წესრიგში ბრძოლა კანონის უზენაესობისთვის, სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის და ევროკავშირში დემოკრატიული ღირებულებებისთვის (UNITED NATIONS, 2015).

2019 წლის მაისში გამართულ ევროპარლამენტის არჩევნებზე აქტივობამ მთელ ევროკავშირში 51% შეადგინა. ეს იყო უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ნებისმიერ არჩევნებზე ბოლო 20 წლის განმავლობაში (თუმცა უფრო დაბალი იყო, ვიდრე ევროპარლა-

მენტის ადრინდელ არჩევნებზე 1979 და 1994 წლებში). 72 წევრით (35 ქალი და 37 მამაკაცი) მწვანეთა ჯგუფმა მიაღწია მაღალ წარმომადგენლობას და გახდა მეოთხე უდიდესი ჯგუფი ევროპარლამენტში. მწვანე ტალღამ მოიცვა მთელი ევროპა და ახლად არჩეული პროგრესული ევროპარლამენტარები შეუერთდნენ ამ ჯგუფს დევიზით „ჩვენ ვცვლით ევროპას“. მათი სამოქმედო პრიორიტეტები და ბრძოლის მიმართულებები კვლავ შედეგ საკითხებს მოიცავდა: კლიმატის და გარემოს დაცვას მომავალი თაობებისთვის; საზოგადოების დაცვას, სიტყვის თავისუფლებას; ბრძოლას ნამდვილი დემოკრატიისთვის, სადაც საზოგადოება და მედია აკონტროლებს ხელისუფლებაში მყოფთ; ევროპას, რომელიც შეამცირებდა სიღარიბეს, რადგან ყველა იმსახურებს სამართლიან შანსს; თავისუფალ ეკონომიკას; მხარს უჭერდნენ ხალხების, რეგიონებისა და ისტორიული პატარა ერების დემოკრატიულ ევროპას, სადაც პატივს სცემენ თვითგამორკვევის უფლებას; საზოგადოებას, რომელსაც აქვს ღირსეული ანაზღაურებადი სამუშაო; საზოგადოებას დისკრიმინაციის გარეშე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ 2021 წელი მთელი კაცობრიობისთვის განსაკუთრებული იყო, როდესაც პანდემიამ უკან დაიხია. შესაბამისად, ამ დროისთვის ევროკავშირის საქმიანობა პანდემიასთან და მისი შედეგების დაძლევიკენ იყო მიმართული. ამასთან, 2021 წელს ევროკავშირის მოქალაქეები კლიმატის ცვლილებას ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევდნენ.

მწვანეები 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში

2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში ხმის მიცემა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2024 წლის 7-დან 9 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა. ბლოკის 27 წევრი ქვეყნის მოსახლეობამ ჯამში 720 ევროპარლამენტარი აირჩია. მწვანეებმა 2024 წლის

არჩევნებში ევროპარლამენტში 53 ადგილი (7.36 %) მოიპოვეს და რიგით მეექვსე ადგილი (European Parliament, 2024) დაიკავეს.

ევროპარლამენტის 2024 წლის არჩევნები რამდენიმე ძირითად საკითხზე იყო ორიენტირებული. უკრაინაში რუსეთის შეჭრამ კამპანიის მთავარ თემებს შორის უსაფრთხოება და თავდაცვა წინა პლანზე წამოსწია. ამას ემატებოდა ეკონომიკა, სამუშაო ადგილები, სიღარიბე და სოციალური დაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, კლიმატის ცვლილება და საერთოდ - ევროპის მომავალი (EUROPEAN GREENS, 2024).

ევროპელმა მწვანეემა ჯერ კიდევ 2024წლის 4 თებერვალში, ლიონში, მეშვიდე გაფართოებულ კონგრესზე მიიღეს 11 პუნქტისაგან შედგენილი სამოქმედო პრიორიტეტები, რომელიც ფაქტობრივად „მწვანეები და ევროპის თავისუფალი ალიანსი (EFA)“-ის წინასაარჩევნო საპროგრამო მიმართულებებს წარმოადგენდა - „ევროპული მწვანეები - პრიორიტეტები 2024 წლის ევროპული არჩევნებისთვის“ (European Green, 2024).

მანიფესტი შემდეგ საკითხებს მოიცავდა, კერძოდ: #1. მწვანეები და სოციალური შეთანხმება ევროპისთვის, რაც გულისხმობდა მასიური საინვესტიციო გეგმის დაწყებას, რაც უზრუნველყოფდა ყველას საარსებო საშუალებას და წარმატებულს გახდიდა ეკონომიკას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით შექმნიდა საუკეთო პირობებეს; #2. განახლებადი ენერგია 2040 წლისთვის - ახალი სისტემები დაიცავდა კლიმატს და შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს, გარემოს უსაფრთხოს გახდიდა, შესაბამისად, ეკონომიკურ სარგებელთან ერთად, უფრო უსაფრთხო მომავალს მოუტანდა ყველას. ძვირადღირებულმა წიაღისეულმა საწვავმა გამოიწვია სიცოცხლის ხანგრძლივობის კრიზისი. აღნიშნული ღონისძიებებით ევროკავშირი უფრო კონკურენტუნარიანი იქნება და აღარ იქნება უცხოელი დიქტატორების მძევალი; #3.კარგი სამუშაო და სამართლიანი ანაზღაურება ყველას - დიდ ყურადღებას აქცევდნენ,

რომ ევროპაში ყველა მოქალაქეს ჰქონოდა კარგი ანაზღაურებას და კომფორტულად ეცხოვრათ, მუშებს ღირსეული ცხოვრების პირობები უნდა ჰქონოდათ, არ უნდა ყოფილიყო სიღარიბე მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკაში. ისინი აპირებდნებდნენ ბრძოლას სიღარიბის თავიდან ასაცილებლად, მიუხედავად იმისა, მოქალაქე მუშაობდ თუ არა, უმუშევრობის მუდმივი დაზღვევა დაიცავდა მათ ეკონომიკური კრიზისის დროს. დაცული უნდა ყოფილიყო უფლებები ავადმყოფობის ანაზღაურების და შვებულების დროსაც. დიდ ყურაღებას აქცევდნენ პროფკავშირებს, რომელთაც დიდი ადგილი ეკავათ აღნიშნულის განხორციელებისას, ამავდროულად, მათი მოკავშირეები იყვნენ და ერთად აპირებდნენ ბრძოლას მათი არსებითი დემოკრატიული როლისთვის. #4. აღადგინე ბუნება, დაიცავი ბიომრავალფეროვნება - ეს ნაწილი ითვალისწინებდა საფრთხის ქვეშ მყოფი ძვირფასი ეკოსისტემების აღდგენას, სხვადასხვა სახეობების გადაშენების შეჩერებას და ევროპის მიწისა და ზღვის მინიმუმ მესამედის, ჭაობების, ტყეების, მდინარეების და ტბების ჩათვლით, დაცვას. ბრძოლას ევროკავშირისთვის ნულოვანი დაბინძურებისათვის, ჰაერის, წყლის და ტოქსიკური პროდუქტებისგან თავისუფალი სამომხმარებლო საქონლისათვის; #5. უზრუნველყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი საცხოვრებელი - ისინი მიიჩნევდნენ, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო კომფორტული საცხოვრებელი სახლი. იჯარა უნდა ყოფილიყო ზომიერი, ინვესტიციები ამავდროულად უნდა იყოს იჯარის კონტროლი, მოიჯარეების დასაცავად. ფართომასშტაბიანმა სარემონტო პროგრამამ უნდა შეამციროს სიღარიბე და დაიცვას ყველაზე დაუცველები. ისინი ხაზს უსვავდნენ ძალიან მაღალ ქირას და საჭიროდ თვლიდნენ ქირის ფასების გაკონტროლებას და განსაკუთრებულად ახალგაზრდების ხელშეწყობას; #6. ჯანსაღი, პესტიციდების გარეშე, საკვები სამართლიანი ფასებით - მწვანეები აღნიშნავდნენ, რომ მათი სურვილია ევროპაში ყველამ მიირთვას ჯანსაღი

საკვები. ჯანსაღი საკვები არ უნდა ღირდეს ძვირი, ისინი ირწმუ-ნებიან, რომ შექმნიდნენ ისეთ ვითარებას, სადაც ფერმერებიც და ხალხიც მომგებიან ვითარებაში იქნებიან; #7 ბოლო მოეღოს ცხო-ველთა მიმართ სისასტიკეს! შეაჩერე მეგა ფერმები - დაპირების ამ მუხლით ისინი აპირებენ ცხოველთა კეთილდღეობისთვის, მილიონობით ევროპელთან ერთად, ბრძოლას. ისინი პირობას დებენ, რომ აკრძალავდნენ სასტიკ მეგა ფერმებს, გალიების გამოყენებას მეცხოველეობაში და ცხოველთა ხოცვას ბეწვის ფერმებში; #8 ჩვენ ვიხდით ჩვენს გადასახადებს, მილიარდერებმა და მრავალნაციონალურმა ორგანიზაციებმა ასევე უნდა გადაიხადონ თავიანთი სამართლიანი წილი, გადასახადები უნდა იყოს სამართლიანი - ამ ნაწილში აქცენტი კეთდება სამართლი-ანობაზე, რომ განვითერებული ეკონომიკა პირველ ადგილზე აყენებს ადამიანებს და პლანეტას და არა კორპორაციებს და ულტრამდიდრებს, თვლიან რომ სამართლიანი დაბეგვრა შეამცი-რებს საგადასახადო ტვირთს მუშებზე, ამიტომ მათ უფრო მეტი შემოსავალი ექნებათ; #9. ძლიერი ევროპა დემოკრატიის, ფუნდა-მენტური უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად - აღნიშ-ნული ნაწილი წარმოადგენს გააქტიურებული ულტრამემარჯვენე-ების საპასუხო რეაქციას „უფრო მეტად გვაიძულებს: მწვანეები მხარს დაუჭერენ ევროპულ დემოკრატიას და კანონის უზენა-ესობას“. საჯარო სახსრები ყველა მოქალაქისთვის სარგებელის მომ-ტანი ყოფილიყო და არა ავტოკრატების და მათი კორუმპირებული მეგობრების. გაგრძელდებოდა ბრძოლა გამჭვირვალობისა და ერთიანობისთვის კორუფციის, ასევე დისკრიმინაციისა და სიძულვილის ყველა ფორმის წინააღმდეგ. დაიცავდნენ პროტესტის გამოხატვის უფლებას და იბრძოლებდნენ აქტივისტების და სამოქალაქო საზოგადოების კრიმინალიზაციის; #10. ბრძოლა ქალთა უფლებებისთვის, ფემინისტური ევროპა - აღნიშნულია, რომ ყველას ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეს. ყველას უნდა

ჰქონდეს საკუთარი არჩევანის უფლება მათი სხეულისა და ცხოვრების შესახებ. ადამიანებმა თავად გადაწყვიტონ ვინ არიან. ქალები და გოგონები უნდა იყვნენ დაცული ძალადობისგან. გაიზრდება მსხვერპლთა მხარდაჭერა. ქალებს უნდა ჰქონდეთ იგივე შესაძლებლობები, სრული თანასწორობისთვის დასაქმებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; #11. მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის გაერთიანებული ევროპა - ეს პუნქტი აღნიშნავს, რომ ევროკავშირი დაიბადა და უნდა დარჩეს პროექტი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. მზარდი ავტორიტარიზმისა და ომის დროს, მას უნდა შეეძლოს დაუპირისპირდეს ავტოკრატებს, რადგან ევროკავშირს მძევლად ყოფნის უფლება არა აქვს, რომ ხელი შეუშალონ მას მშვიდობის, ადამიანის უფლებების დაცვაში. ევროკავშირმა ეფექტურად უნდა იმუშაოს საგარეო პოლიტიკასა და სხვა ძირითად სფეროებზეც. უკრაინის მომავალი ევროკავშირშია და უნდა გავაგრძელოთ მისი მხარდაჭერა. ევროკავშირი მზად უნდა იყოს მიესალმოს ახალ წევრებს და დაეხმაროს კანდიდატ ქვეყნებს გაწევრიანების მომზადებაში.

აღსანიშნავია, რომ მწვანეები ხშირად განიხილავდნენ და აქტუალური იყო სუფთა წყლის თემა, თვლიდნენ რომ სუფთა წყალზე წვდომა გარანტირებული უნდა ყოფილიყო როგორც ძირითადი უფლება. ფაქტია, რომ თანამედროვე ეტაპზე მწვანე პოლიტიკა გლობალური მოვლენაა. მართალია მისი მთავარი ფოკუსი გარემოს დაცვაა, რათა მოხდეს პლანეტის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის. თუმცა, მწვანე პოლიტიკა თავისთავად უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ გარემოს დაცვა (მწვანე ალტერნატივა, 2013).

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაცვაში სახელმწიფოს და მათ გაერთიანებებს, საზოგადოებასთან ერთად, უდიდესი როლი აკისრია. თითოეული მოქალაქის ჩართულობა მომავალი კეთილდღეობისათვის, ჯანსაღ გარემოში ცხოვრებისა და უკეთესი მომავალის გარანტიაა, რომლის გათავისებით და მომავალ თაობაში ამ სულისკვეთების დანერგვით, სამომავლოდ საერთაშორისო საზოგადოებას და გარემოს უფრო ნაკლები პრობლემები შეექმნება.

ევროპელმა მწვანეებმა თანდათან განავითარეს თავისი სტრუქტურები წევრი პარტიების პოლიტიკური გამოხატვის გასაძლიერებლად. სხვდასხვა საკითხებთან ერთად, ეს მოიცავს უნარს, ჰქონდეთ საერთო პოლიტიკური პოზიციები, ორმხრივი საარჩევნო მანიფესტები და ერთსულოვნება ევროპულ საარჩევნო კამპანიებში. ევროპელ მწვანეებს ასევე აქვთ ქსელები, რომლებიც აერთიანებს მწვანე პოლიტიკოსებს. ეს ყველაფერი შესაძლებელია იმ დაფინანსების წყალობით, რომელსაც ევროპარლამენტი განუსაზღვრავს ევროპულ პოლიტიკურ პარტიებს.

ნაშრომში დადასტურდა კვლევის ჰიპოთეზა, ფაქტია, რომ მწვანე პოლიტიკა თანამედროვეობის აქტუალური საკითხია და მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს მდგრადი საზოგადოება, რომელიც ბუნებრივია ეფუძნება გარემოს დაცვას, და ამავდროულად ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პოსტულატს - ეკოლოგიას, სოციალური სამართლიანობის, დემოკრატიის პრინციპების დაცვას და საერთაშორისო მშვიდობიან თანაარსებობას, სწორედ ეს საკითხები წარმოადგენდა ევროპარლამენტის წინასაარჩევნო პერიოდში მწვანეთა განსჯის ძირითად საგანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გერგედავა, მ., 2021, მდგრადი განვითარების ისტორია, https://www.sustainability.ge/sustainable-development-history/, ნანახია 20. 05. 2024

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამა: „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში", 2019, სახელმძღვანელო ეროზიის საწინააღმდეგო ინტეგრირებული ღონისძიებებისთვის, პრაქტიკული გზამკვლევი ეროზიის საწინააღმდეგო ინტეგრირებული ღონისძიებების და-გეგმვისა და განხორციელების შესახებ საქართველოში. თბილისი 2019. https://biodivers-southcaucasus.org/uploads/files/archiv/Handbook_GEO_For%20Website_compressed.pdf, ნანახია 20. 04. 2024.

მწვანე ალტერნატივა, 2013, მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად, გამოიცა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით, https://greenalt.org/app/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf, ნანახია 01.02. 2024

European Commission, 2021, The EU in 2021 – General Report on the Activities of the European Union, file:///C:/Users/NoName/Downloads/the%20eu%20in%202021-NAAD22001ENN.pdf, 22. 03.2024

European Green, 2024, 7th Extended Congress, EGP Priorities '24 as adopted, Lyon, 4 February 2024, https://www.datocms-assets.com/87481/1708092100-priorities-2024-as-adopted-lyon-4-february-2024.pdf, ნანახია 05. 05.2024

EUROPEAN GREENS, 2024, EUROPEAN GREENS – PRIORITIES FOR THE EUROPEAN ELECTIONS IN 2024, https://www.datocms-assets.com/87481/1714056752-egp-priorities-easy-to-read_en-1.pdf, ნანახია 03. 05.2024

European Parliament, 2024, Members of the European Parliament, 2024-2029, https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2024/762356/EPRS_ATA(2024)762356_EN.pdf, ნანახია 27. 07.2024

European Union, 2021. Special eurobarometer 513 climate change report summary. https://climate.ec.europa.eu/system/files/2021-07/report_2021_en.pdf, ნანახია 01.02. 2024

Evropean Greens, 2004, history, https://europeangreens.eu/history/, ნანახია 11. 03. 2024

Evropean Greens, 2009, Stop Barroso!, https://europeangreens.eu/resolutions/stopbarroso/, ნანახია 08. 02.2024.

Evropean Greens, 2009, The Council of the European Green Party, The obligation to stop violence in Georgia, https://europeangreens.eu/resolutions/obligationstop-violence-georgia/, ნანახია 01. 03.2024

GREENS/EFA, 1989, 1984-1989: A NEW POLITICAL FORCE ON THE POLITICAL STAGE, https://www.greens-efa.eu/en/who-we-are/our-history, ნანახია 05. 02.2024

Meadows, D., (1972), "A Report for the Club of Rome's Project on the Predicament of Mankind", https://www.library.dartmouth.edu/digital/digital-collections/limits-growth, ნანახია06.04. 2024

Pearson, M., Rüdig ,W., (2020), The Greens in the 2019 European elections, Environmental Politics Volume 29, 2020 - Issue 2. Pages 336-343 https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/09644016.2019.1709252, ნანახია, 02.03.2024

Rio Declaration on Environment and Development, The United Nations Conference on Environment and Development, Having met at Rio de Janeiro from 3 to 14 June 1992, https://www.cbd.int/doc/ref/rio-declaration.shtml, ნანახია 10.09.2023

The Greens/EFA in the European Parliament, 1984, 1984-1989: A NEW POLITICAL FORCE ON THE POLITICAL STAGE, https://www.greens-efa.eu/en/who-we-are/our-history, ნანახია 10. 04. 2024

UNITED NATIONS, 2015, PARIS AGREEMENT, https://unfccc.int/files/essential_background/convention/application/pdf/english_paris_agreement.pdf, ნანახია 07. 03. 2024.

Manana Darchashvili

The Greens in the European Parliament (Case of 2024)

Abstract

Some certain issues, in terms of globalization and the world's current situation due to their universal nature along with their existing difficulties and expected threats, have become the agenda for both individual states and the whole world. One such issue can be named the environment, which has put it on the agenda and highlighted the need for common concern for every country.

Having common, at the modern stage, environmental ideas, the European Greens are a well-established force in European politics, they have been represented in the European Parliament since 1984.

We have to highlight that the Greens/EFA parliamentary group was created in 1999 when two progressive European political forces - the Greens and the European Free Alliance (EFA) decided to join their forces in the European Parliament. Their main aim was to help Europe solve global challenges and gain global leadership in the fight for climate and environment, peace and social justice, human rights, and self-determination.

Over the decades, including the 2024 European Parliament elections, their changes for Europe have included the fight for the following issues as climate and environment protection for future generations; a society where everyone has the right to express their opinion; a real democracy where the public and the media can control the government; The desire to build a such Europe that would reduce poverty, because everyone deserves to live in a just society; the economy should serve the people, not vice versa; a community that invests in public services and builds strong communities; a democratic Europe of peoples, regions and historically small nations, with respected right to self-determination; with the decent paid work and housing conditions society; where all people should be free, without discrimination. As a

result of their activities, they believed that they were an attractive group for all progressive forces.

Keywords: European Parliament, environment, green language, elections, program, democracy.